| | |
|---|---|
| გაკვეთილის თემა | Passive Voice. The Past Passive Voice |
| სწავლების საფეხური და კლასი | დაწყებითი. კლასი 5 |
| საგანი | ინგლისური ენა |
| მოსწავლეთა რაოდენობა | 16 |
| გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტუალობა | მოსწავლემ შეძლოს გაარჩიოს ერთმანეთისგან მოქმედებითი და ვნებითი გვარი |
| მიზნები/შედეგები (ესგ სტანდარტი) | მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ინგლისურში არსებობს ორი გვარი. უნდა შეძლონ მათი ამოცნობა და გარჩევა ერთმანეთისგან.<br>**უცხ.დ.V.12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და შეუძლია მათი გამოყენება.**<br>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:<br>● იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (*მაგ., წინდებულს, ზმნიზედას*);<br>● იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (*მაგ., ათანხმებს არსებით და ზედსართავ სახელებს რიცხვში/სქესში; ათანხმებს ზმნასა და არსებით სახელს პირსა და რიცხვში*);<br>● შეარჩევს ზმნის სათანადო ფორმებს მითითებების მიცემისას;<br>● იცავს სიტყვათა რიგს მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი შინაარსის შემცველ წინადადებებში;<br>● იცავს ორთოგრაფიის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს. |
| წინასწარი ცოდნა | მოსწავლეებმა იციან მარტივი დროები მოქმედებით გვარში. |
| შეფასების საგანი და პროცედურები | მოსწავლეებმა იციან წინადადებების მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში გადაყვანა. საშინაო დავალება და გაკვეთილზე ჩართულობა. |
| სასწავლო მასალა და რესურსები | English Word 5 Pupils Book, Workbook, დაფა, ცარცი, ბარათები, გრამატიკული ცხრილები |
| გაკვეთილის მსვლელობა | A ფაზა – გამოწვევა 10 წუთი<br>საორგანიზაციო საკითხი. მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს. ისინი ამოიცნობენ ზმნებს შესაბამის დროში. ამით მასწავლებელი ამოწმებს განვლილ მასალას და ამზადებს მოსწავლეებს ახალი მასალისათვის.<br><br>B ფაზა – შინაარსის რეალიზება 25 წუთი<br>მასწავლებელი განმარტავს ვნებითი გვარის მნიშვნელობას, როგორ იწარმოება ის – მინი ლექცია, ინდივიდუალური მუშაობა ბარათების საშუალებით. მოსწავლეები სვამენ ზმნებს საჭირო დროში, გადაჰყავთ წინადადებები მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში. მუშაობენ წყვილებში.<br><br>C ფაზა – რეფლექსია 10 წუთი<br>მოსწავლეებმა გაიგეს ახალი მასალა. მასწავლებელი იყენებს 3, 2, 1 მეთოდს. |

| | |
|---|---|
| | 3 – მოსწავლეებმა უნდა გამოყონ 3 წესი, რომელიც მათ დაამახსოვრდათ ახსნილი გაკვეთილიდან.<br>2 – მოსწავლეებმა უნდა დასვან 2 შეკითხვა, რომელზეც აინტერესებთ პასუხი.<br>1 – ერთი რამ რაც მათთვის გაუგებარი დარჩა.<br><br>მოსწავლეთა შეფასება ქულებით და საშინაო დავალების მიცემა. |
| დიფერენცირებული სწავლება | მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს წინადადებებს გადასაწერად. |
| თვითშეფასება | მოსწავლეებმა გაიგეს ვნებითი გვარი. მათ შეძლეს წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში ზმნების ჩასმა და მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში წინადადებების გადაყვანა. |